"სამხედრო შრომები"№ 3 (2024)
WWW.MILITARYPAPERS.ETA.EDU.GE/

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ტოტალური თავდაცვის როლი საქართველოსთვის

ვიცე-პოლკოვნიკი გოჩა ბათაძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8489

აბსტრაქტი

დღესდღეობით, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, როგორებიცაა: უკრაინა-რუსეთის ომი, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები თუ სომხეთ-აზერბაიჯანის დასრულებული ომი, უფრო აქტუალური გახდა ე.წ. ტოტალური თავდაცვის სისტემის დანერგვა საქართველოში. ტოტალური თავდაცვა, თავისი არსით, წარმოადგენს მცირე ზომის ქვეყნების მიერ ძლიერი აგრესორის შეკავებას და იგი მოიცავს სხვადასხვა მახასიათებლების ერთობლიობას, სადაც უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს სამხედრო თავდაცვასთან ერთად სამოქალაქო თავდაცვასაც. ეს უკანასკნელი წარმოადგენს უმთავრეს მიმართულებას, რომლის გარეშე ვერცერთი ტოტალური თავდაცვის მახასიათებელი ვერ იქნება წრმატებული და შედეგის მომტანი, მათ შორის თვით სამხედრო თავდაცვაც კი.

ტოტალური თავდაცვის მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაზე უსვამს ხაზს ავტორთა ჯგუფი საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის კვლევითი ცენტრის მიერ გამოცემულ ნაშრომში, რომელშიც ნათლადაა წარმოჩენილი ტოტალური თავდაცვის მაგალითები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით და შესაბამისად ავტორები საფუძვლიან რეკომენდაციას იძლევიან საქართველოში მისი დანერგვის შესახებ. ავტორთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ,,ტოტალური თავდაცვის დოქტრინის რეალიზაცია, ეფექტური ტერიტორიული თავდაცვის ძალებისა და ეფექტური სამოქალაქო თავდაცვის სისტემის ფორმირებას ეყდნობა და სამოქალაქო თავდაცვის გამართული ფუნქციონირება ომის დროს სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფს.[2]

წინამდებარე სტატიაში დასაბუთებულია საქართველოში ტოტალური თავდაცვის დანერგვის აუცილებლობა და მისი როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში, რაც შესაძლებელს გახდის საქართველოს მიერ ჭარბი ძალების მქონე აგრესორის შეკავებას გარკვეული დროით და საშუალებას მისცეს საერთაშორისო საზოგადოებას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აგრესორ ქვეყანაზე ზეწოლისთვის საქართველოს სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად.

საკვანძო სიტყვები: ტოტალური თავდაცვა, ასიმეტრიული ბრძოლა, მცირე ზომის დანაყოფები, ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფები, პარტიზანული მოქმედებები.

---

[1] ეროვნული გვარდიის მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაური. საჯარო მმართველობის მაგისტრი

[2] პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი და სხვები, ,,ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი," სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, გორი, 2024, გვ.62,89,90.

"სამხედრო შრომები"№ 3 (2024)
WWW.MILITARYPAPERS.ETA.EDU.GE/

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

The role of total defense for Georgia

Lieutenant Colonel Gocha Batadze[3]
DOI: https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8489

Abstract

Nowadays, against the backdrop of current events in the world, such as the Ukraine-Russia war, the events in the Middle East or the finished war between Armenia and Azerbaijan, although the situation is still unresolved, the so-called Implementation of total defense system in Georgia. In its essence, total defense is the deterrence of a powerful aggressor by small countries, and it includes a combination of various features, where civil defense plays an important role along with military defense. The latter is the most important direction, without which no feature of total defense can be successful and productive, including military defense itself.

The expediency and necessity of total defense is emphasized by the group of authors in the scientific research project given by the Research Center of the National Defense Academy of Georgia, which clearly shows examples of total defense in other countries and accordingly gives a thorough recommendation for its implementation in Georgia; In which civil defense is the most important component along with military defense. The group of authors points out that [realization of the doctrine of total defense depends on the formation of effective territorial defense forces and an effective civil defense system] and [...proper functioning of civil defense ensures the effectiveness of state management during war].1

The present article presents the necessity of implementing total defense in Georgia and its role in strengthening the country's defense capabilities, which will make it possible for Georgia to restrain an aggressor with excess forces for a certain time and allow the international community to take effective measures to put pressure on the aggressor country to preserve the sovereignty of Georgia.[4]

Key words: total defense, asymmetric battle, small units, territorial defense units, guerrilla operations.

[3] Commander of the 104th Territorial Defense Battalion of the 10th Territorial Defense Brigade of the National Guard of the Georgian Defense Forces, Master of Public Administration

[4] Colonel Giorgi Laghiashvili and others, total (comprehensive) defense, as a determinant of defense and security stability of Georgia Factor, (Gori, National Defense Service of Georgia named after Davit Agmashenebeli Academy, Scientific Research Center 2024), pp. 89-90

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, როგორც ე.წ. „მცირე ზომის სახელმწიფო", სამწუხაროდ, ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს დიდი ქვეყნების ინტერესის სფეროს, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მას საუკუნეების განმავლობაში, როგორც ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. უდავოა, რომ სწორედ ეს ინტერესი გახდა მიზეზი ქვეყნის უახლოეს ისტორიაშიც არაერთი ეთნიკური თუ რელიგიური დაპირისპირებისა და სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებისა. ამის შედეგია ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია, რაც ფაქტობრივად მუდმივ საომარ ვითარებაში მყოფ გარემოს უქმნის ქვეყანას. ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, რაც შესაძლებელი გახდება ქვეყანაში თავდაცვის ახალი სისტემის - ტოტალური თავდაცვის დანერგვით. „ტოტალური თავდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფო თავდაცვის მიზნებისთვის ეროვნული რესურსების ინტეგრირებულ და კოორდინირებულ გამოყენებას გულისხმობს, მცირე სახელმწიფოებს მოწინააღმდეგესთან არსებული ასიმეტრიის შემცირების შესაძლებლობას აძლევს და მიზნად ისახავს (მაქსიმუმ) ხელი ააღებინოს პოტენციურ მოწინააღმდეგეს აგრესიაზე მისთვის მიუღებელი ზიანის შიშით, ან (მინიმუმ) გაურკვევლობის ეფექტი შეიტანოს მის სტრატეგიულ გათვლებში, დაიწყოს თუ არა აგრესია."[5]

ძირითადი ნაწილი

სამწუხაროდ, „ჩრდილოელი აგრესორი"-ს მიერ საქართველოზე ზეწოლა დღესაც გრძელდება, რის ნათელი დადასტურებაცაა მისი ცდა საქართველოზე ყოველმხრივი ზეგავლენის მოხდენისა. კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმდინარე მცოცავი ანექსია, ქვეყანაში უწყვეტად მიმდინარე საინფორმაციო ომი და ა.შ. რუსეთი ყველა ღონეს ხმარობს, რათა სამუდამოდ ააღებინოს საქართველოს ხელი საუკუნოვან სურვილზე, რომელსაც საქართველოს ევროატლანტიკურ სამყაროსთან დაახლოება ჰქვია.

უდავოა, რომ საქართველო თავისი სამხედრო შესაძლებლობებით (ადამიანური თუ ეკონომიკური რესურსებით) რუსეთთან პირდაპირ ომში ვერასდროს მიაღწევს სასურველ შედეგებს. ამდენად, ქვეყანამ თავისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე (ხევები, მთები, ტყეები), უნდა აწარმოოს ასიმეტრიული ბრძოლები, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მცირე ზომის ქვედანაყოფების პარტიზანულმა მოქმედებებმა. თუმცა ეს ყოველივე შედეგს ვერ მოიტანს, თუ არ იქნება ქვეყნის მოსახლეობის კეთილი ნება და სურვილი სამშობლოს დაცვის კუთხით. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყნის მოსახლეობის როლზე საუბრობდა XIX საუკუნის პირველი მე-

[5] გიორგი შაიშმელაშვილი, „ტოტალური თავდცავა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად", პი ემ სი კვლევითი ცენტრი პოლიტიკის დოკუმენტი 3, თბილისი, 2023. https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ოთხედის საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი ნაპოლეონ ბონაპარტე: ,,სამხედრო ძალები არ არის საკმარისი ქვეყნის დასაცავად, ხოლო ხალხის მიერ დაცული ქვეყანა დაუმარცხებელია." სწორედ ხალხის როლია უმთავრესი მცირე სახელმწიფოებისთვის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საქმეში, რომლის ნათელი მაგალითია საქართველო. ჩვენი მცირე ზომის ქვეყანა სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დღიდან, თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის 30 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, უმკლავდებოდა არაერთი იმპერიის შემოსევას და თავისი მოსახლეობით ახერხებდა სუვერენიტეტის შენარჩუნებას.

ხალხის და სამხედრო შენაერთების ერთიანობა სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში მცირე ზომის სახელმწიფოების მიერ ე.წ. ტოტალური თავდაცვის სისტემების შექმნის წინაპირობას, რაც არაერთ ქვეყნაში წარმატებით განხორციელდა და ხორციელდება დღესაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ კიდევ 2017 წლიდან საქართველოს ტოტალურ თავდაცვაზე გადასვლის განაცხადით. სწორედ ტოტალური თავდაცვის მნიშვნელობას და აუცილებლობას უსვამს ხაზს „საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2023-2032", რომელიც ჯერჯერობით პროექტის სახითაა წარმოდგენილი და ასევე ,,თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030'', სადაც წარმოდგენილია ტოტალური თავდაცვის გამოყენების მიზანშეწონილობა. ამასთან, აღნიშნული დოკუმენტი კონცეტრირებულია ტოტალური თავდაცვის სამ ძირითად ელემენტზე, როგორებიცაა: სამხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობა.[6]

თანამედროვე მსოფლიოში წარმატებულად მუშაობს ტოტალური თავდაცვის სხვადასხვა მოდელი, რომელთა მახასიათებლებიც არაერთგავროვანია, თუმცა გამოკვეთილია საერთო მახასიათებელები, კერძოდ: სამხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა, ეკონომიკური თავდაცვა, ინსტიტუციონალური თავდაცვა და ფსიქოლოგიური თავდაცვა. ამ მხრივ ყურადსაღებია ბალტიის ქვეყნების მოდელები და მათ შორის ესტონური მოდელი - ე.წ. „ყოვლისმომცველი ეროვნული თავდაცვის მიდგომა", რომელშიც მკაფიოდ ჩანს, თუ სამხედრო ძალები როგორ უნდა იყოს შერწყმული არასამხედრო შესაძლებლობებთან და წინა პლანზე დგას მოქალაქეების ჩართულობა ანუ სამოქალაქო თავდაცვა სხვა მახასიათებლებთან ერთად.

ესტონური ტოტალური თავდაცვის მოდელი არის თითქმის ფინური მოდელის ანალოგი და მას ახორციელებს ე.წ. ესტონეთის თავდაცვის ლიგა. იგი არის თავდაცვის სამინისტროში შემავალი მოხალისეობრივი ეროვნული თავდაცვის ორგანიზაცია. აღნიშნული ლიგის ამოცანებია: „ტერიტორიული ქვედანაყოფების მომზადება სამხედ-

[6] საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება ,,თავდაცვის სამინისტროს ხედვა 203" -ის დამტკიცების შესახებ, თბილისი, თავდაცვის სამინისტრო, № MOD 3 21 00000141 (2021 წლის 12 მარტი), 7.

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

რო სამსახურისთვის, სტრატეგიული ადგილების დაცვაში მონაწილეობა, ასევე მოსახლეობის ინფორმირება და მზადყოფნის გაზრდა, რათა დაეხმარონ შეიარაღებულ ძალებს ესტონეთის დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში სამხედრო თავდაცვითი აქტივობების დაგეგმვით, პარტიზანული მოქმედებებით ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობის ჩათვლით,"[7] რაც ფაქტობრივად ძალიან ახლოს დგას საქართველოს ეროვნული გვარდიის ამოცანებთან. სწორედ ეროვნული გვარდიის ტერიტორიული თავდაცვის დანაყოფები ასრულებენ დღესდღეობით ტოტალური თავდაცვის დანერგვაში მნიშვნელოვან როლს თავიანთი ამოცანებით და მოქმედებებით.[8]

მსოფლიოში ბოლო დროინდელმა განვითარებულმა მოვლენებმა, ნათლად დაგვანახა მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე ომებში. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოსთვის ტოტალური თავდაცვის აუცილებლობას, სადაც სამოქალქო თავდაცვამ უნდა შეასრულოს უმთავრესი როლი და იქცეს იმ ქვაკუთხედად, რომელიც შესაძლებელს გახდის ქვეყნის დაუმარცხებლობის განცდის განმტკიცებას საზოგადოებაში. ტოტალური თავდაცვის ვერცერთი მახასიათებელი ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას, თუ მას მხარს არ დაუჭერს სამოქალაქო თავდაცვა ანუ თუ არ იქნება ხალხის ნება-სურვილი დაიცვას თავისი ქვეყანა.

გავიხსენებთ ფინელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, მარშალ კარლ გუტავ ემილ მანერჰეიმის საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებს: „თავდაცვისთვის უზარმაზარი ხარჯების გაწევამდე, საჭიროა მოსახლეობისთვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომლის დაცვასაც მოისურვებენ"-ო, რასაც სრულად ვიზიარებთ, მაგრამ საქართველომ თავისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს მოსახლეობის „მანერჰეიმისეული" ცხოვრების პირობების შექმნა უახლოეს პერიოდში, თუმცა იდეოლოგიური თვალსაზრისით, ნამდვილად შესაძლებელია მოსახლეობის მომზადება და შთაგონება ყველაზე ღირებულის - ისტორიული მიწა-წყლის შენარჩუნებისათვის.

დასკვნა

ამდენად, ტოტალური თავდაცვა მისი არსით, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ყველა შესაძლებლობის გამოყენებას მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის, რამეთუ ქვეყანა თა-

[7] Estonian Ministry of Defense, „National Defense Strategy of Estonia", Aktaprint (02.2011 წლის 13 თებერვალი), 12, https://www.kaitseministeerium.ee/sites/default/files/elfinder/article_files/national_defence_strategy.pdf. [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

[8] საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსი, მუხლი 91, (2023 წლის 12 ოქტობერი)

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ვისი სამხედრო შესაძლებლობებით (ადამიანური, ლოგისტიკური) ვერ შეძლებს მოწინააღმდეგის დიდი დროით შეკავებას და მითუმეტეს უკუგდებას, თუ ამ დაპირისპირებაში არ იქნება ჩართული ქვეყნის მთელი მოსახლეობა.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კანონი - თავდაცვის კოდექსი, (2023 წლის 12 ოქტობერი).

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, „თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030"-ის დამტკიცების შესახებ, №MOD 32100000141, (2021 წლის 12 მარტი).

შაიშმელაშვილი გიორგი, „ტოტალური თავდცავა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად", პი ემ სი კვლევითი ცენტრი პოლიტიკის დოკუმენტი, 3, თბილისი, 2023, https://www.pmcresearch.org/policypapers_file/173164cb689d5252b.pdf[ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 7 აგვისტო].

ავტორთა ჯგუფი, ,,ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვა, როგორც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სტაბილურობის განმსაზღვრელი ფაქტორი,"(გორი, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 2024).

Estonian Ministry of Defense, „National Defense Strategy of Estonia", Aktaprint 02.2011. https://www.kaitseministeerium.ee/sites/default/files/elfinder/article_files/national_defence_strategy.pdf. [ბოლოს შესვლის თარიღი: 2024 წლის 6 აგვისტო].